საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2017 წლის 8 თებერვლის
დადგენილება №2316

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნისა და
სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილების (ოქმი №4) საფუძველზე **აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. შეიქმნას ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო

   და განისაზღვროს საბჭოს შემადგენლობა დანართი №1-ის შესაბამისად;

2. დამტკიცდეს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თანდართული დებულება;

3. ამ დადგენილების პირველი პუნქტით შექმნილი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვროს სტუ-ის მიერ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოების დამტკიცებამდე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე